პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!
ПРОЛЕТАРИИ ВСЕХ СТРАН, СОЕДИНЯЙТЕСЬ!

# მებრძოლი გუშაგი
# БОЕВОЙ СТРАЖ

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანო
ОРГАН МИНИСТЕРСТВА ВНУТРЕННИХ ДЕЛ ГССР

№ 21 (2064) 26 მაისი, კვირა, 1985 წელი. ფასი 2 კაპ.

Газета выходит с 1926 года.

გაზეთი გამოდის 1926 წლიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მეგობრობისა და ურთიერთგაგების ვითარებაში

საბჭოთა ხელმძღვანელობის მოწვევით 21 მაისს მოსკოვში ოფიციალურ მეგობრულ ვიზიტად ჩამოვიდა ინდოეთის პრემიერ-მინისტრი რ. განდი. იმავე დღეს კრემლში გაიმართა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვისა და ინდოეთის პრემიერ-მინისტრის რაჯივ განდის მოლაპარაკება.

მოლაპარაკების მონაწილეებმა ხაზი გაუსვეს უმაღლესი დონის რეგულარული კონტაქტების პრინციპულ როლს, რომელიც ორი ქვეყნის მეგობრობისა და ნდობის, ურთიერთობის განმტკიცების დიდმნიშვნელოვანი ინსტრუმენტია. აღინიშნა, რომ ასეთი კონტაქტები ხელს უწყობს მეგობრული ურთიერთობის მთელი კომპლექსის დაწინაურებას, ზრდის სსრ კავშირისა და ინდოეთის ძალისხმევის ქმედითობას საყოველთაოდ მშვიდობისა და უშიშროების შენარჩუნებისა და დამკვიდრებისათვის ბრძოლაში. რ. განდიმ დაადასტურა მ. ს. გორბაჩოვის მიწვევა ინდოეთში მეგობრულ ვიზიტად მისთვის მოსახერხებელ დროს. მიწვევას მადლობით დათანხმდნენ.

22 მაისს კრემლში ხელი მოაწერეს საბჭოთა კავშირ-ინდოეთის დოკუმენტებს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა მ. ს. გორბაჩოვმა და ინდოეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა რ. განდიმ ხელი მოაწერეს:

შეთანხმებას საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კავშირისა და ინდოეთის რესპუბლიკის ეკონომიკური, სავაჭრო და სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობის 2000 წლამდე პერიოდის ძირითად მიმართულებათა შესახებ;

შეთანხმებას საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და ინდოეთის რესპუბლიკის ეკონომიკური და ტექნიკური თანამშრომლობის შესახებ.

## საინფორმაციო ცნობა
# საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ

18 მაისს გაიმართა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის XXII პლენუმი, რომელზეც მოწვეული იყვნენ საქართველოს კომპარტიის საქალაქო, რაიონული კომიტეტების პირველი მდივნები, პარტიის რაიკომების უფლების მქონე პარტკომების მდივნები, მინისტრები, სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარენი, რომლებიც არ შედიან საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სარევიზიო კომისიის შემადგენლობაში, სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარენი, მსხვილი საწარმო-ორგანიზაციების ხელმძღვანელები, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწენი, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო და სასაზღვრო ოლქების ,მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა წარმომადგენლები.

პლენუმმა განიხილა შემდეგი საკითხები:

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილის პლენუმის შედეგები და საქართველოს პარტიული ორგანიზაციის ამოცანები;

საქართველოს კომუნისტური პარტიის მორიგი XXVII ყრილობის მოწვევა და მის მომზადებასა და მოწყობასთან დაკავშირებული ამოცანები;

საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის ანგარიში XXVI ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმების გადაწყვეტილებათა შესასრულებლად გაწეული ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის შესახებ და საქართველოს კომპარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის ანგარიში სკკპ XXVI ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმის გადაწყვეტილებათა შესრულების საქმეში პირველადს პარტორგანიზაციათა როლის ასამაღლებლად გაწეული ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის შესახებ.

პლენუმზე დღის წესრიგის პირველი და მეორე საკითხების გამო მოხსენება გააკეთა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. ა. შევარდნაძემ.,

მოხსენების განხილვაში მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი გ. დ. გაბუნია, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი ი. ვ. ფრანგიშვილი, საქართველოს კომპარტიის გაგრის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ე. ვ. კაპბა, ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ერგის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის მეჩაიე, სოციალისტური შრომის გმირი გ. ი. ჯანიძე, საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრი დ. ნ. დვალიშვილი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოქიმიის კათედრის გამგე, ბიოტექნოლოგიის ლაბორატორიის სამეცნიერო ხელმძღვანელი ნ. გ. ალექსიძე, საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე გ. დ. მგელაძე, „თბილისგვირაბმშენის“ სამმართველოს მემონტაჟე-ზეინკალთა ბრიგადირი, სოციალისტური შრომის გმირი ა. ი. დათაშვილი, საქართველოს კომპარტიის დმანისის რაიკომის პირველი მდივანი ე. ა. ბერიძე, საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურეობის მინისტრი ბ. ზ. მაყაშვილი, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს თბილისის იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკის მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი შ. ა. ამონაშვილი, საქართველოს კომპარტიის ფოთის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ბ. დ. გულუა, საქართველოს კომპარტიის გურჯაანის რაიკომის პირველი მდივანი დ. ე. სარიშვილი, საქართველოს სსრ ჯანდაცვის მინისტრი გ. გ. ლეჟავა, თბილისის საწარმოო გაერთიანება „ჩარხმშენებლის“ გენერალური დირექტორი გ. შ. ჯიქიძე.

იმასთან დაკავშირებით, რომ ანგარიშები დღის წესრიგის მესამე საკითხის გამო წინასწარ დაურიგდათ პლენუმის მონაწილეებს,ისინი აღარ წაკითხულა. ანგარიშების გამო ინფორმაციით გამოვიდნენ საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ფ. ს. სანაკოევი და საქართველოს კომპარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი მ. ა. ასლანიკაშვილი.

პლენუმზე საბოლოო სიტყვა წარმოთქვა ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ.

განხილულ საკითხებზე პლენუმმა მიიღო შესაბამისი დადგენილებანი.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ვაჭრობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურეობის განყოფილების გამგის პირველი მოადგილე ნ. ი. ბოჩკოვი.

# НА ЗАСЕДАНИИ КОЛЛЕГИИ МВД ГССР

На днях состоялось заседание коллегии, на котором рассмотрен вопрос организации начальниками горрайорганов внутренних дел республики работы участковых инспекторов милиции.

На заседании коллегии было отмечено, что министерством внутренних дел республики была проведена определенная работа по повышению роли и ответственности участковых инспекторов милиции в деле надежного обеспечения общественного порядка и борьбы с преступностью, в горрайорганах внутренних дел введены штаты первых заместителей начальников по руководству участковыми инспекторами милиции, увеличено число старших участковых инспекторов милиции, в результате этого численность обслуживаемого населения в расчете на одного участкового инспектора сократилась. Принимаются меры по сближению участковых инспекторов с населением. В Заводском РОВД г. Тбилиси, Сухуми, Батуми, Гори и других практикуется вручение визитных карточек участковыми инспекторами жильцам во время обхода квартир, укрепляются связи участковых инспекторов с общественностью, трудовыми коллективами, товарищескими судами, ДНД, общественными пунктами охраны порядка и другими формированиями в работе по укреплению социалистической законности и правопорядка, усилен контроль за участковыми инспекторами со стороны местных партийных и советских органов.

Недостаточно реализуются требования решения коллегии МВД СССР в части повышения результативности работы участковых инспекторов по предупреждению и пресечению правонарушений в сфере экономики, активизации их взаимодействия со службой БХСС. Об этом свидетельствует то обстоятельство, что в Ахметском, Дманисском, Цалкском, Лентехском, Амбролаурском, Чохатаурском, Гегечкорском, Ланчхутском и ряде других ГОРОВД работа по выявлению расхитителей соцсобственности и спекулянтов участковыми инспекторами милиции не ведется, а в Ахалцихском, Карельском, Мцхетском РОВД и Потийском ГОВД эти показатели снижены.

На заседании коллегии были рассмотрены другие вопросы и намечен целый комплекс мероприятий по улучшению деятельности служб и подразделений внутренних дел республики.

## ЕДИНЫЙ ПОЛИТДЕНЬ





С большим интересом слушали сотрудники органов и подразделений внутренних дел республики выступление Генерального секретаря ЦК КПСС М. С. Горбачева перед активом Ленинградской партийной организации.

НА СНИМКЕ: сотрудники Грузинского управления внутренних дел на транспорте МВД СССР на коллективном просмотре видеозаписи выступления Генерального секретаря ЦК КПСС М. С. Горбачева перед активом Ленинградской партийной организации.

Фото И. Гришашвили.

# ОТКРЫТИЕ ПАМЯТНИКА



По особому, празднично, выглядело Цалкское РОВД в этот день. У всех было приподнятое настроение, улыбки на лицах подчеркивали торжественность момента.

К полудню сквер перед зданием отдела был полон народу. На торжественный митинг, посвященный открытию памятника Феликсу Эдмундовичу Дзержинскому, пришли представители партийных, комсомольских и общественных организаций района. Митинг открывает начальник Цалкского РОВД майор милиции В. Г. Зедгенидзе. А право открыть памятник предоставляется второму секретарю Цалкского РК КП Грузии Г. П. Абрамяну и председателю райисполкома Н. С. Осепаишвили.

О жизни и деятельности Ф. Э. Дзержинского рассказывает секретарь комсомольской организации Цалкского РОВД старший лейтенант милиции Е. В. Костова. На торжественном митинге выступают также ветераны органов внутренних дел старший лейтенант в отставке П. Е. Эминов, инспектор по делам несовершеннолетних старший лейтенант милиции В. Д. Шейранов и педагог Цалкского СПТУ Л. Х. Макаров.

В заключение автору бюста Р. И. Хизаняну, жителю Цалки, от имени благодарных сотрудников РОВД вручают ценный подарок.

В. ИВАНИДЗЕ.

НА СНИМКЕ: в почетном карауле.

# ისმენენ კომუნისტის ანგარიშს, ამტკიცებენ დახასიათებას

**რესპუბლიკის** შინაგან საქმეთა საქალაქო და რაიონულ განყოფილებებში სისტემატიურად იხილავენ კომუნისტთა ანგარიშებს გაწეული მუშაობის შესახებ და ამტკიცებენ მათ პარტიულ დახასიათებებს. აღსანიშნავია ისიც, რომ დახასიათებაში აღნიშნულია არამარტო კომუნისტთა პირადი საქმიანობა და საზოგადოებრივ საქმიანობაში მონაწილეობა, არამედ მისი პოლიტიკური მომზადების დონე ზნეობრივი და ქცევის მორალური მდგომარეობა, ცხოვრების წესი, ოჯახისადმი დამოკიდებულება და სხვ.

ახლახან ქიათურის შინაგან საქმეთა საქალაქო განყოფილების პირველადი პარტიული ორგანიზაციის ღია კრებაზე განხილული იქნა უბნის ინსპექტორის, მილიციის უფროსი ლეიტენანტის ჟ. გოგსაძის ანგარიში.

კომუნისტმა ჟ. გოგსაძემ ღია პარტიულ კრებას მოახსენა, რომ იგი ემსახურება გეზრულის, სვერის, მანდაეთისა და ნიგოზეთის სასოფლო საბჭოებს შედგენილი აქვს ყოველთვიური გეგმები, აწარმოებს მოქალაქეების მიღებისა და საჩივარ-განცხადებების რეგისტრაციის ჟურნალს, სისტემატურად ავლენს მუქთახორებს, უმუშევრებს, რომლებსაც უმოკლეს დროში აბამს საზოგადოებრივ საქმიანობაში, კონტროლს უწევს სასჯელის მოხდის ადგილიდან დაბრუნებულ პირებს, ახლო კონტაქტი აქვს დამყარებული მათ ოჯახებთან.

კომუნისტ ჟ. გოგსაძის პარტიული დახასიათების პროექტი კრებას გააცნო განყოფილების უფროსმა უბნის ინსპექტორმა, მილიციის მაიორმა ნ. ტაბატაძემ. დახასიათების პროექტში აღინიშნა, რომ კომუნისტი ჟ. გოგსაძე შინაგან საქმეთა ორგანოებში მუშაობს 1968 წლიდან, დაკავებულ თანამდებობაზე კი 1983 წლის დეკემბრიდან. მისი შრომითი ბიოგრაფია 1965 წლიდან საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ დაიწყო. იმავე წელს გაიწვიეს სავალდებულო-სამხედრო სამსახურში; მობილიზაციის შემდეგ ის მუშაობას იწყებს ჭიათურის შინაგან საქმეთა საქალაქო განყოფილებაში რიგითი მილიციელის თანამდებობაზე. მუშაობის პერიოდში 1972 წელს დაუსწრებლად ამთავრებს საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს მილიციის საშუალო სპეციალურ სასწავლებელს. 1974 წელს ჟ. გოგსაძეს აწინაურებენ ნაგუთის მიკრორაიონის უბნის ისპექტორად, 1977 წელს გადმოყვანილი იქნა სისხლის სამართლის სამძებრო ქვეგანყოფილების ინსპექტორად, ხოლო 1983 წლიდან უბნის ინსპექტორად.

ჟ. გოგსაძემ შინაგან საქმეთა ორგანოებში მუშაობის პერიოდში თავი გამოიჩინა როგორც მინდობილი საქმის კარგმა მცოდნემ, იგი აქტიურად იბრძვის საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისათვის. არის კარგი მეუღლე და მამა, ჰყავს სამი ქალიშვილი.

კამათში გამოსულმა კომუნისტებმა აღნიშნეს, რომ კომუნისტი ჟ. გოგსაძე არის თავმდაბალი და დიდი პასუხისმგებლობის მქონე თანამშრომელი.

აღინიშნა, რომ კომუნისტი ჟ. გოგსაძე პირნათლად ასრულებს პარტიული ორგანიზაციის დავალებებს, არის ენერგიული და შრომისმოყვარე მუშაკი.

კრებაზე გამოთქმული შენიშვნებისა და მუშაობაში არსებული ნაკლოვანებებისათვის კომუნისტ ჟ. გოგსაძეს მიუთითა.

კრების დადგენილებით, კომუნისტ ჟ. გოგსაძის საქმიანობა შეფასდა დამაკმაყოფილებლად და დამტკიცდა მისი დახასიათება.

**მ. ბაფრინდაშვილი,**
**ჭიათურის შინაგან საქმეთა საქალაქო განყოფილების უფროსის მოადგილე პოლიტდარგში, მილიციის ლეიტენანტი.**

# Охране общественного порядка — партийную заботу

**В завершающем году одиннадцатой пятилетки в результате усиления партийного руководства, повышения ответственности партийных комитетов за положение дел на местах, равно как и комплексного решения социальных и правовых задач, предупредительной работы, в Аджарской автономной республике были созданы предпосылки дальнейшего укрепления правопорядка, достижения определенной стабилизации обстановки. Эти позитивные сдвиги и были отмечены на состоявшемся в Аджарском обкоме КП Грузии республиканском совещании по подведению итогов борьбы по укреплению правопорядка за первый квартал 1985 года.**

**В работе совещания приняли участие первые секретари Батумского городского и районных комитетов Компартии Грузии, председатели исполкомов городских и районных Советов народных депутатов, руководители министерств и ведомств, правоохранительных органов.**

**На совещании с докладом выступил второй секретарь Аджарского обкома партии Г. Чигогидзе.**

**Итоги совещания подвел кандидат в члены бюро ЦК КП Грузии, первый секретарь Аджарского обкома партии В. Папунидзе.**

На апрельском (1985 г.) Пленуме Центрального Комитета КПСС товарищ М. С. Горбачев со всей принципиальностью отметил: «Особенно актуален сегодня вопрос об укреплении порядка и дисциплины. Это — настоятельное требование дня, которое советские люди понимают, широко включая сюда порядок на производстве и в сфере обслуживания, в общественной жизни и в быту, в каждой трудовой ячейке, в каждом городе, в каждом селе. И мы приложим все силы, чтобы в стране укрепился такой порядок».

В автономной республике за последние годы достигнуты положительные сдвиги в борьбе с преступностью, в охране общественного порядка, предупреждении правонарушений. Этому способствовало создание стройной системы координации деятельности партийных, советских, правоохранительных органов и общественных организаций по укреплению правопорядка. Активно действуют созданные при партийных комитетах рабочие группы по укреплению правопорядка и социалистической законности, координационные комиссии по борьбе против негативных явлений, которые целенаправленно контролируют деятельность трудовых коллективов и общественных организаций в соответствии с постановлениями ЦК КП Грузии по укреплению правопорядка в республике.

Правильный курс, взятый партийными, советскими, профсоюзными, комсомольскими и правоохранительными органами в борьбе против правонарушений, их совместные предупредительно-профилактические мероприятия содействовали снижению общего количества преступлений, укреплению трудовой и производственной дисциплины.

Планомерные мероприятия, осуществляемые по усилению борьбы с тунеядством, пьянством, хищениями социалистической собственности, взяточничеством, спекуляцией по искоренению семейных, бытовых конфликтов, способствовали тому, что оперативная обстановка в республике стабилизировалась. В первом квартале текущего года по сравнению с соответствующим периодом прошлого года сократилось количество таких опасных преступлений, как умышленное убийство, тяжкие телесные повреждения, грабежи и разбои, угон автомототранспорта.

Однако недостатков, нерешенных вопросов пока еще немало. Анализ показывает: в отдельных случаях партийные, советские, правоохранительные органы на местах должным образом не владеют обстановкой, глубоко не изучают, не вскрывают причин преступности, не определяют главных направлений борьбы с правонарушениями. Частично и этим объясняется относительное увеличение числа преступных посягательств на государственную собственность, фактов хулиганства.

То, что тунеядец — потенциальный преступник, общеизвестно. Тем не менее, еще не добились того положения, чтобы борьба против тех, кто увиливает от общественно полезного труда, носила последовательный характер. Выявить тунеядца, как говорится, полдела, главное — его трудоустроить. На совещании было отмечено, что исполкомы местных Советов народных депутатов за последнее время ослабили контроль в отношении лиц этой категории. Нередки случаи, когда, пользуясь попустительством со стороны вышестоящих органов, некоторые руководители порой отказывают лицам, направленным к ним комиссиями по трудоустройству, в приеме на работу, не заботясь об их закреплении на рабочих местах, не используют все возможности воспитания, поощрения, воздействия на них трудовых коллективсв.

Узловыми на совещании были вопросы наведения порядка на автомобильных дорогах республики, доведения до минимума числа аварий с тяжелым исходом. Совершению дорожно-транспортных происшествий способствует не только бездействие отдельных работников Госавтоинспекции, но и безнаказанность многих водителей — лихачей. Беспокоит тот факт, отмечали выступающие, что увеличение или уменьшение числа ДТП имеет случайный характер, и они не поддаются регулированию.

Борьба с пьянством и тунеядством является составной частью работы по профилактике и предупреждению преступлений. Ведь именно они — источник таких правонарушений, как хулиганство, спекуляция, хищения. Эта работа должного эффекта пока еще не принесла.

За последнее время выявлен не один факт хищения социалистической собственности. Например, в пункте окуривания цитрусовых Аджарского комбината консервной промышленности, находящегося в селе Кобулети, преступная группа путем оформления фиктивных квитанций расхитила 40 тонн цитрусовых плодов. В аналогичном преступлении изобличен заведующий приемным пунктом паковочного завода в селе Чаисубани Хелвачаурского района Балададзе.

На состояние охраны государственного имущества отрицательно влияет низкий уровень ведомственного контроля. Этим обстоятельством и было обусловлено хищение продуктов на сумму 3.488 рублей, которое совершил заведующий складом № 3 Батумского холодильника «Грузрыбпромсбыта».

Качество работы по укреплению социалистической законности в значительной мере предопределяется профессиональной компетентностью сотрудников правоохранительных органов, их организованностью и оперативностью, что, прежде всего, проявляется в организации. И разве можно мириться с тем, что не раскрыт еще целый ряд преступлений, особенно в г. Батуми, Кобулетском и Хелвачаурском районах.

В органах внутренних дел, прокуратуры и суда неудовлетворительно выполняются требования ЦК КП Грузии о мерах по искоренению формализма и бюрократизма, нарушаются установленные сроки расследования дел и их судебного исполнительства. Иной раз прекращается следствие без должных на то оснований.

На совещании были выработаны рекомендации по дальнейшему улучшению правоохранительной деятельности, повышению персональной ответственности руководителей всех рангов за обеспечение образцового общественного порядка.

# ძალა კედლის გაზეთისა

**შინაგან** საქმეთა ორგანოების თანამშრომლების პოლიტიკური ცოდნის დონის ამაღლების, მუშაობაში არსებული ხარვეზების გამოსწორების, მოწინავე გამოცდილების გაზიარებისა და დისციპლინის განმტკიცების საქმეში დიდი როლი ენიჭება კედლის გაზეთს.

წულუკიძის შინაგან საქმეთა რაიგანყოფილების კედლის გაზეთ „საბჭოთა მილიციელის" სარედაქციო კოლეგია მუშაობას წარმართავს ყოველკვარტალური გეგმის შესაბამისად, სარედაქციო კოლეგიის წევრები, განყოფილების ხელმძღვანელობა, პოლიტნაწილი, პირველადი პარტიული ორგანიზაციის ბიურო, სამსახურის უფროსები და თანამშრომლები აქტიურად მონაწილეობენ სამუშაო გეგმით გათვალისწინებული საკითხების დამუშავებაში, ამ მიზნით სტატიის ავტორს წინასწარ ეძლეოდა სპეციალური ბარათი რაშიც აღნიშნულია სტატიის დასახელება და მისი კოლეგიაში წარდგენის დრო.

1985 წლის იანვრის თვის გაზეთში გამოქვეყნდა სტატია, ავამაღლოთ სახალხო კონტროლის ადგილობრივი მუშაობის ეფექტურობა, რომლის ავტორია განყოფილების მორიგე ინსპექტორი, სახალხო კონტროლის ჯგუფის თავმჯდომარე, სკკპ წევრი, მილიციის უფროსი ლეიტენანტი ვ. მხეიძე. მოკლედ მაგრამ ნათლად არის ნაჩვენები სახალხო კონტროლის ორგანოების ადგილი და როლი საბჭოთა სახელმწიფოს მმართველობის ორგანოთა სისტემაში, კრიტიკულად არის შეფასებული განყოფილების სახალხო კონტროლის ჯგუფის მუშაობა.

აღნიშნული სტატიის გამოქვეყნების შემდეგ სახალხო კონტროლის ჯგუფის წევრებმა სწორი დასკვნა გამოიტანეს მათ მიმართ გამოთქმული კრიტიკიდან, იხელმძღვანელეს რა მიცემული რეკომენდაციებით და აღნიშნულ საკითხზე პირველადი პარტიული ორგანიზაციის ბიუროს დადგენილებით, მთლიანად გარდაქმნეს მუშაობა.

თებერვლის თვის გაზეთში სტატიით გამოვიდა განყოფილების სისხლის სამართლის სამძებრო ქვეგანყოფილების უფროსი, მილიციის მაიორი ა. წურწუმია. ამ სტატიაში ღრმად არის გაანალიზებული გაწეული მუშაობის დადებითი და უარყოფითი მხარეები, გაკრიტიკებულია ძებნის ხაზით გაწეული მუშაობა, ჯერ კიდევ არსებობს სუსტი კავშირი სისხლის სამართლის სამძებრო ქვეგანყოფილებას, უბნის რწმუნებულებსა და სხვა ოპერატიულ სამსახურებს შორის, წინა პლანზე არის წამოწეული უფროსი ოპერრწმუნებულების ზ. უგრეხელიძის, ა. კაკაბაძის, ს. თედორაძის მუშაობის დადებითი გამოცდილება.

განყოფილების უფროსი გამომძიებლის, სკკპ წევრის, მილიციის მაიორ ვ. კეთილაძის სტატიაში „ვებრძოლოთ დანაშაულს" მწვავედ არის გაკრიტიკებული საგამომძიებლო ჯგუფის მუშაობაში ჯერ კიდევ არსებული ნაკლოვანებანი, განსაკუთრებით პროფილაქტიკის ხაზით 1982-1983 წლებში ადგილი ჰქონდა სისხლის სამართლის საქმეთა უსაფუძვლო აღძვრის, დამატებით გამოძიებაში დაბრუნებისა და შეწყვეტის შემთხვევებს. მიღებული ზომების შედეგად 1984-1985 წლებში მდგომარეობა მკვეთრად შეიცვალა, ამაღლდა გამოძიების ხარისხი. გამომძიებლებს ყოველ საქმეზე გამოაქვთ წარდგინებები და მათ შესრულებაზე დაწესებულია კონტროლი.

ხელმძღვანელობდა რა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მითითებით კომუნისტთა მუშაობის შესახებ ანგარიშების მოსმენისა და დახასიათებების დამტკიცების მიმდინარეობის ასახვის შესახებ, გაზეთის ფურცლებზე აღნიშნულ საკითხზე მარტის თვეში ვრცელი წერილი გამოაქვეყნა პირველადი პარტიული ორგანიზაციის მდივანმა ს. თედორაძემ.

სარედაქციო კოლეგიამ მაისის თვეში დამატების სახით გამოსცა კედლის გაზეთი „ელვა" რომელშიც აისახება განყოფილების ხელმძღვანელობის, სახალხო კონტროლის ჯგუფის, პირველადი პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციის მიერ გამოვლინებული ფაქტები, ის წახალისებანი და დისციპლინარული სასჯელები რომელიც გამოეცხადა ამა თუ იმ მუშაკს.

გაზეთ „საბჭოთა მილიციელის" სარედაქციო კოლეგია განყოფილების ხელმძღვანელობის, პირველადი პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციების და პოლიტნაწილის, თითოეული თანამშრომლის აქტიური დახმარებითა და თანადგომით ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ ხელი შეუწყოს განყოფილების პირად შემადგენლობას მის წინაშე მდგარი ამოცანების წარმატებით გადაწყვეტაში.



**მ. კინწურაშვილი,**
**მილიციის კაპიტანი.**

**სურათზე: წულუკიძის შს რაიგანყოფილების პირველადი პარტიული ორგანიზაციის მდივანი ს. თედორაძე, კედლის გაზეთ „საბჭოთა მილიციელის" რედაქტორი მ. კინწურაშვილი და რედკოლეგიის წევრი ფ. ჯურხაძე ამზადებენ გაზეთის მორიგ ნომერს.**

# მოზარდის მეგობარი

# ДРУГ ПОДРОСТКА

მუხლი 66. სსრკ მოქალაქეები ვალდებული არიან იზრუნონ ბავშვების აღზრდაზე მოამზადონ, ისინი საზოგადოებრივად სასარგებლო შრომისათვის, გაზარდონ სოციალისტური საზოგადოების სრულუფლებიან წევრებად. ბავშვები ვალდებული არიან იზრუნონ მშობლებზე და გაუწიონ მათ დახმარება.

(სსრკ კონსტიტუციიდან).

Статья 66. Граждане СССР обязаны заботиться о воспитании детей, готовить их к общественно полезному труду, растить достойными членами социалистического общества. Дети обязаны заботиться о родителях и оказывать им помощь.

(Из Конституции СССР).

Спецвыпуск для сотрудников и общественных активистов инспекций по делам несовершеннолетних, внештатных детских комнат милиции, общественных воспитателей подростков, наставников молодежи.



## საერთო საქმე

**მოზარდი** თაობის მორალური და იდეურ-პოლიტიკური აღზრდა თითოეული ჩვენთაგანის ვალია, მაგრამ თუ არასრულწლოვანი მაინც მოხვდა ცუდ წრეში მაშინ მთელ საზოგადოებასთან ერთად მისი გამოსწორებისათვის, სწორ გზაზე დასაყენებლად დიდ მუშაობას ეწევა შს განყოფილებების არასრულწლოვანთა ინსპექცია.

ამ მხრივ საერთო საქმეში გარკვეული წვლილი შეაქვთ ჰიათურის შს საქალაქო განყოფილების არასრულწლოვანთა საქმეების ინსპექციის თანამშრომლებს. აი ისინიც:

ინსპექციის უფროსი, მილიციის კაპიტანი, ნ. მეცხოვრიშვილი, უბნის ინსპექტორები მილიციის უფროსი ლეიტნაენტი ი. სვიანიძე, მილიციის ლეიტენანტები: მ. ყიფშიძე, ლ. ჯოხაძე, რ. ჩაჩანიძე, რომლებსაც სისტემატიური კავშირი აქვთ არასრულწლოვანთა საქმეების კომისიასთან, კომკავშირის საქალაქო კომიტეტთან, განათლების განყოფილებასთან და ყველა დაწყებით, რვაწლიან თუ საშუალო სკოლასთან, კულტ-საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, უბნის კომიტეტებთან, პედაგოგ-ორგანიზატორებთან, ქალაქის აქტივთან და რიგ წარმოება-დაწესებულებებთან. დასახელებულ ორგანიზაციებთან კავშირშია და ყოველთვიური, კვარტალური თუ წლიური სამუშაო გეგმების შესაბამისად უხდება მუშაობა არასრულწლოვანთა ინსპექციას. ინსპექციის თანამშრომლები ყოველდღიურად ხვდებიან არასრულწლოვანებს თავიანთ სამოქმედო უბნებში, როგორც ჯგუფურად აგრეთვე ინდივიდუალურად. ატარებენ ლექცია-საუბრებს განყოფილებების სხვა სამსახურების თანამშრომლებთან ერთად ყოველ მესამე დღეს იმყოფებიან შემოვლებზე და აწყობენ რეიდებს. აღრიცხვაზე მყოფებს სწავლისა თუ სამუშაო ადგილების მიხედვით ჰყავთ მიმაგრებული შეფები და აღმზრდელები. უნდა აღინიშნოს, რომ მიმდინარე წელს არასრულწლოვანთა არცერთი სისხლის სამართლის დანაშაული არ მომხდარა. ამასთან შს საქალაქო განყოფილების ჰიათურის რიგითი კომკავშირელები მიმაგრებული არიან აღრიცხვაზე მყოფ არასრულწლოვანებზე და ეწევიან მათთან საინტერესო მუშაობას, უნდა აღინიშნოს, რომ ათეული წლის მანძილზე ინსპექციაში არცერთი არაკეთილსაიმედო ოჯახი არ იყო აყვანილი აღრიცხვაზე დასასრულ უნდა აღვნტის მიმართ მუშაობა მიმდინიშნოთ, რომ არასრულწლოვანთა საქმეების ინსპექციას კურირებას უწევს გამოცდილი მუშაკი შს განყოფილების უფროსის მოადგილე ოპერატიულ დარგში მილიციის მაიორი კ. პაპიძე, რომლის უშუალო რჩევით და ოპერატიული ჩარევით არაერთი გზასაცდენილი არასრულწლოვანი დაუყენებიათ სწორ გზაზე. ინსპექციის მუშაკების წინაშე კიდევ დიდი გზაა გასავლელი არასრულწლოვანთა შორის მართლწესრიგის სრული განმტკიცებისათვის.

თ. შიმშილაშვილი.

## იცნობდეთ — მოწინავეა

**ნოდარ** ავთანდილის ძე ივანიძე დაიბადა და აღიზარდა ქ. ბორჯომში. აქ ჩამოყალიბდა პიროვნებად და შეუდგა შრომით საქმიანობას.

1970 წელს დაამთავრა თბილისის 42-ე ფიზიკა-მათემატიკური საშუალო სკოლა, ხოლო 1971 წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქიმიურ ფაკულტეტზე. უნივერსიტეტში სწავლის დროს აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა საზოგადოებრივ საქმიანობაში. 3-ჯერ მონაწილეობდა მესამე შრომით სემესტრში, ჩრდილოეთ ყაზახეთის ყამირის ათვისებაში. იყო რაზმის მეთაური, ფაკულტეტის კულტმასობრივი სექტორის ხელმძღვანელი.

1976 წელს უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ მუშაობა დაიწყო თბილისის ცხიმების კომბინატში ბრიგადირად შემდეგ, ცვლის უფროსად ბოლოს კი საამქროს უფროსიც გახდა.

1980 წელს გაიწვიეს სამხედრო სავალდებულო სამსახურში. უფროსი ლეიტენანტი ნ. ივანიძე მუშაობდა აბაშის სამხედრო კომისარიატის ერთ-ერთი ნაწილის უფროსად. კეთილსინდისიერი სამსახურისათვის მიღებული აქვს ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სარდლობის მრავალი მადლობა.

სამხედრო სამსახურიდან დემობილიზებულმა ნ. იავანიძემ გადაწყვიტა კვლავ ხალხის სიმშვიდის დამცველთა რიგებში ჩამდგარიყო და 1984 წელს მუშაობა დაიწყო ქ. თბილისის ოქტომბრის სახ. რაიონის შს განყოფილების არასრულწლოვანთა საქმეების უბნის ინსპექტორად.

შრომისმოყვარე და ინიციატივიანმა ნოდარმა თანამშრომლებს შორის მალე პატივისცემა და სიყვარული დაიმსახურა. ჰქონდა სირთულეებიც, მაგრამ მას ყოველთვის უფროსი მეგობრები ედგნენ მხარში. შს ორგანოებში მუშაობის მანძილზე მისი უბნის ტერიტორიაზე არ მომხდარა არცერთი დანაშაული. მრავალი ძნელადაღსაზრდელი მოზარდი იქნა გამოსწორებული და ჩაბმული შრომით საქმიანობაში.

1985 წლის 4 თებერვალს ქ. თბილისის რკინიგზის სადგურის მოედანზე მის მიერ ძარცვისათვის დაკავებული იქნა ადრე ნასამართლევი საშიში დამნაშავე, რომელსაც ჩადენილი ჰქონდა მრავალი ბოროტება.

საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა, მხოლოდ იმ პირობით შეიძლება, თუ სისტემატიურად იფართოებ შენს პოლიტიკურ დონეს, ეუფლები პროფესიულ ოსტატობას, სრულყოფ შენში საუკეთესო ადამიანურ თვისებებს. სწორედ ამ სრულყოფისათვის, ჭეშმარიტების ძიებისათვის ილწვის ნოდარი.

მილიციის უფროსმა ლეიტენანტმა ნ. ივანიძემ, როგორც შრომაში მოწინავემ შს განყოფილების ხელმძღვანელობის მრავალი მადლობა დაიმსახურა.



ვუსურვოთ მას ახალ-ახალი წარმატებები მის რთულსა და საპატიო საქმიანობაში.

თ. ხაგულიანი.

## ОБЫЧНЫЙ ДЕНЬ

У начальника инспекции по делам несовершеннолетних района имени 26 комиссаров он начался с телефонных звонков. Дел предстояло много: настольный календарь весь был исписан фамилиями и номерами телефонов.

Часы пробили десять. Только что закончилась общая планерка и в кабинете Гули Шалвовны собрались участковые инспектора по делам несовершеннолетних.

— Джавахов, — обратилась к старшему лейтенанту Гули Шалвовна, — вы и проведете рейд на Метехском плато, в парке Дружбы и в поселке Элия. Если что — сразу звоните.

Зазвонил телефон.

— Доброе утро... А вы какие-нибудь меры предпринимали? Хорошо, поможем.

Гули Джанелидзе записала что-то в свой блокнот, затем обратилась к сидящему напротив лейтенанту В. Михнанашвили.

— Вы и Квирикашвили сейчас пойдете в девяносто вторую школу. Там в восьмом классе учится Михаил Амирян. Вернее, уже не учится. Давно в школу не ходит. Поговорите с педагогами, ребятами. Расспросите про него. И домой к нему надо бы сходить. От школы недалеко. Надо помочь парню. А заодно в школе проведите рейд, чтобы в классах все было нормально.

Дверь открылась и в кабинет вошел высокий, статный парень. На голове ежиком торчали коротко остриженные волосы.

— Здравствуйте. Вы меня помните? Я Гарри Садоев... Ну, угон автомашины... Помните?

— Да, да. Вспомнила. Но как ты изменился.

— Недавно вот только возвратился из колонии и сразу к вам. Прописаться надо, да и на работу устроиться. Поможете?

— Конечно, Гарри. С пропиской мы сегодня же все уладим, а вот насчет работы решим послезавтра. Сейчас подойди к начальнику паспортного отделения.

Парень улыбнулся, по-детски как-то.

— Я к вам зайду. Обязательно.

Дверь с шумом захлопнулась.

«Куда бы его устроить? — Гули Шалвовна стала перебирать предприятия, где работают ее подопечные. — В «Микродвигателе» откажут. Им Акопова одного хватает. Говорят плохо ходит. В конце концов у них коллектив, комсомольская организация. Пусть воспитывают. А то им все кажется, что мы должны за каждым бегать, водить его за руку».



Гули Шалвовна открыла тетрадь, в которую она для себя записывала всех, кто стоял на учете. Некоторые фамилии уже были перечеркнуты. Эти уже не состоят на учете. Исправились.

Часы пробили двенадцать. Зазвонил телефон.

— Да, буду.

«Думают, забыла, — Гули Шалвовна улыбнулась. — Интересно, как ребята воспримут этот фильм. Что их заинтересует?» Не раз она вместе со школьниками, учащимися ПТУ обсуждала фильмы, книги, спектакли, но каждый раз эти вопросы вновь волновали ее. И вот сегодня в 89-ой школе состоится просмотр и обсуждение фильма, снятого по рассказу Н. Думбадзе «Кукарача».

...Три часа в школе пролетели быстро. У Гули Шалвовны было приподнятое настроение. Так всегда, почти всегда, бывает после подобных встреч с ребятами. Захотелось немного пройтись. Гули Шалвовна шла по улицам района, где ей знакомы каждая подворотня, каждый сквер. Многие ребята, которых она встречала по дороге, улыбались ей. И хотя в свои четырнадцать — шестнадцать лет пришлось им столкнуться с предательством, подлостью, ненавистью, улыбались они широко и открыто, а все потому, что Гули Шалвовна вложила в каждого из них частицу своей душевной теплоты, добра. И ребята отвечают ей тем же.

День клонился к закату, а еще столько предстояло сделать всего...

В. МИРОШНИЧЕНКО.

НА СНИМКЕ: трудный разговор.

Фото автора.

## ყურადღების ცენტრში — მოზარდი

**სამართალდარღვევათა** და დანაშაულობათა წინააღმდეგ ბრძოლას საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს. იგი არაერთხელ ქცეულა შრომითი კოლექტივების მსჯელობის საგნადაც ჩვენც ხშირად ვყოფილვართ იმის მოწმე, თუ როგორ აღუდგა ხალხის ნება და სურვილი მართლწესრიგის დამრღვევთ, ყოველგვარ ნეგატიურ გამოვლენას. ეს გარემოება სავსებით ბუნებრივია და გასაგებია. საზოგადოების თუნდაც ერთი წევრის მიერ მართლწესრიგის დარღვევა ზიანს აყენებს და სახელს უტეხს ყველას. აქ საუბარია არა მარტო ეკონომიკური ხასიათის ზიანსა თუ ზარალზე, არამედ საზოგადოების ზნეობრივ სახესა და მის წინააღმდეგ მიმართულ ყოველგვარ დარღვევაზე. ამიტომაცაა, რომ ყველა დამრღვევს თავს ატყდება კოლექტივის რისხვა და გაკიცხვა. სასიხარულოა რომ შრომითი კოლექტივების მსჯელობის მიღმა არ რჩება დარღვევის არც ერთი შემთხვევა.

განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება მოზარდებისათვის დანაშაულის არსის ახსნას. დამნაშავე უთუოდ უნდა შევაზიზღოთ საზოგადოებას, მის მოწინავე და ჯანსაღ ბირთვს. პრაქტიკა გვკარნახობს, რომ დამნაშავე მარტო თავისი ქმედებით კი არ აყენებს ზიანს საზოგადოებას, არამედ მოზარდებისათვის, თუ შეიძლება ასე ითქვას, ერთგვარი „სტიმულის“ მიცემითაც. განა ერთი და ორი ვიცით იმის მაგალითი, როცა ზოგიერთი სუსტი ნებისყოფის ახალგაზრდა სწორედ დანაშაულში ეძებს სულიერ-რომანტიკულ „საზრდოს“ და თავის გმირად სწორედ სამართალდამრღვევს სახავს.

სასიხარულოა, რომ სამართალდარღვევის ფაქტებზე მსჯელობას ეჩვევიან მოზარდები, საშუალო სკოლის მოსწავლეები. ისინი სამართლებრივი ცოდნის პროპაგანდისტებად გვევლინებიან. სწორედ ამგვარ ხასიათს ატარებდა სოხუმის რაიონის სოფელ შრომის საშუალო სკოლაში ამას წინათ გამართული გულახდილი დიალოგი „მრგვალი მაგიდის“ გარშემო სამართლებრივი აღზრდის საკითხებზე. და აი მშობლებმა, პედაგოგებმა და მოსწავლეებმა გადაწყვიტეს იმსჯელონ, ამხილონ სკოლაში არსებული დარღვევები. მათ მოიწვიეს რაიონის განათლების განყოფილების გამგე მ. ლეთოდიანი, სოხუმის სახალხო დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ა. პოპოვა, რაიაღმასკომის არასრულწლოვანთა საქმეების კომისიის პასუხისმგებელი მდივანი ფ. გაბედავა, რაიონის არასრულწლოვანთა საქმეების ინსპექციის უფროსი ლ. ჭანტურია, განათლების განყოფილების ინსპექტორი ო. ქობალია, იურიდიული კონსულტაციის ადვოკატი გ. ბოკერია, იურისტი ლ. კეჭაყმაძე, აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის მე-5 კურსის სტუდენტი რ. გადილია, მილიციის უბნის რწმუნებული ჯ. ბართაია.

შეხვედრა საინტერესო და უთუოდ სასარგებლო იყო. მოწვეულმა ახალგაზრდებმა, მასწავლებლებმა და მოსწავლეებმა გულახდილად იმსჯელეს მოზართა სამართლებრივი აღზრდის პრობლემებზე.

დასასრულ უნდა ვთქვათ რომ კარგი საქმე წამოიწყო რაიონის განათლების განყოფილებამ, რომელსაც გადაწყვეტილი აქვს სხვადასხვა სკოლაში ჩაატაროს მსგავსი შეხვედრები.

ა. გვარამია.

# „სოვეტსკაია მილიცია" № 4

**გამოვიდა** სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სამეცნიერო-მეთოდური ჟურნალის „სოვეტსკაია მილიციის" მორიგი, მეოთხე ნომერი.

ჟურნალი აქვეყნებს მოწინავე სტატიას „ხალხი და პარტია ერთიანია". ოფიციალურ განყოფილებაში გავეცნობით ინფორმაციას შინაგან საქმეთა ორგანოების ხელმძღვანელ მუშაკთა საკავშირო თათბირის შესახებ.

რუბრიკით „სკკპ XXVII ყრილობის შესახვედრად" ჟურნალი ბეჭდავს სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიტიკური სამმართველოს უფროსის პირველი მოადგილის, შინაგანი სამსახურის გენერალ-მაიორის ი. ტომაშევის სტატიას, რომელშიც გამახვილებულია ყურადღება შინაგან საქმეთა ორგანოების პარტიული ორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობის ამაღლების ჯერ კიდევ გამოუყენებელი რეზერვების ამოქმედების საკითხებზე. რუბრიკით „იდეოლოგიურ მუშაობას მაღალეფექტიანობა" ჟურნალი გვთავაზობს საბჭოთა კავშირის გმირის, სსრკ შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის კათედრის უფროსის, შინაგანი სამსახურის გენერალ-მაიორის ა. კოსიცინის საუბარს ახალგაზრდა თანამშრომლებთან.

სტატიებში „დიდი სამამულოს ფრონტებზე....", „მტრის ზურგში", „ომის ჯარისკაცი — მართლწესრიგის ჯარისკაცი", „მატროსოვის გმირობა გაიმეორეს" მოთხრობილია შინაგან საქმეთა ორგანოების თანამშრომლებზე, რომლებიც გმირულად იბრძოდნენ დიდი სამამულო ომის სხვადასხვა ფრონტებზე, გამანადგურებელ ბატალიონებში, პარტიზანულ რაზმებში.

მილიციის კაპიტანის ვ. ლიკოვის სტატიაში გავეცნობით მოსკოველ მილიციონერს ვ. კოსტალინდინს, რომელიც შეიარაღებული დამნაშავის დაკავებისას გამოჩენილი მამაცობისათვის დაჯილდოვდა „წითელი ვარსკვლავის" ორდენით.

ნომერში იბეჭდება ფოტორეპორტაჟი კალინინგრადის მილიციის მოწინავე მუშაკებზე.

რუბრიკით „გამოცდილება, პრობლემები, მსჯელობა" ჟურნალი აქვეყნებს სტატიას „შესრულების კონტროლი და შემოწმება".

ნომერში გავეცნობით იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის, მილიციის კაპიტანის მ. სტეპანენკოს იურიდიულ კონსულტაციას.

ჟურნალი ამთავრებს ა. კულეშოვის მოთხრობის „შავი ესკადრონის" ბეჭდვას. გავეცნობით ა. ბარმასოვის რეცენზიას ა. ბეზუგლოვის რომანზე „პროკურორი;" მრავალფეროვან ფოტოინფორმაციას.

# იდეურ-ესთეტიკური აღზრდისათვის

მილიციის ორგანოებში მუშაობა უაღრესად საინტერესოა, მაგრამ ამავე დროს ძალზე დაძაბული, ყოველი დღე გმირული ბრძოლისა და შრომის ის ასპარეზია, რომელიც ზოგჯერ საკუთარი სიცოცხლის შეწირვასაც კი მოითხოვს.

ჩვენი პარტია და ხელისუფლება დღენიადაგ ზრუნავენ მცოდნე, პატიოსანი, კულტურული ახალგაზრდებით შეავსონ შინაგან საქმეთა ორგანოების რიგები, დიდ მზრუნველობას იჩენენ მათი იდეურ — პოლიტიკური და პროფესიონალური დახელოვნებისათვის. გარდა ამისა დიდი ყურადღება ექცევა ახალგაზრდა კადრების ესთეტიკურ აღზრდას.



ჩვენს დანაყოფში ამ ათი წლის უკან ჩამოყალიბებული იქნა ხალხური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი „ეგრისი", სადაც გაერთიანებულია 30-მდე თანამშრომელი. ანსამბლს სათავეში ედგნენ ისეთი გამოჩენილი ლოტბარები, როგორიცაა იუზა კუბლაშვილი, დურმიშხან გოდერძიშვილი, ჯუმბერ ყოლბაია. ხოლო დღეს მას ხელმძღვანელობს რესპუბლიკის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე — თემურ ქევხიშვილი და ქორეოგრაფი ჯავარ ნაჭყებია. ანსამბლმა დაარსების დღიდანვე მოიხვეჭა პოპულარობა.

მას გააჩნია მდიდარი რეპერტუარი, სადაც შესულია ქართული, რუსული ხალხური სიმღერები და ცეკვები, საბჭოთა კავშირისა და საქართველოს გამოჩენილ კომპოზიტორთა სიმღერები. ანსამბლმა ჩამოყალიბების დღიდან ჩაატარა 250-ზე მეტი საშეფო კონცერტი ქ. თბილისის ფაბრიკა-ქარხნებში, ჩვენი სამინისტროს სხვადასხვა ქვედანაყოფებში, ასევე სისტემატიურად მონაწილეობს დიდ სახალხო დღესასწაულებში, როგორიცაა „თბილისობა" „დმანისობა" „გარეჯობა" „მეცხვარის დღე". და სხვა.

1981 წლის აგვისტოში სრულიად საკავშირო კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის მიწვევით იყო ჩვენი ქვეყნის დედაქალაქ მოსკოვში. ანსამბლის 22 სიმღერა ჩაწერილია და შესულია ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის ფონდში. საქართველოს შს სამინისტროს მიერ ჩატარებულ თვითმოქმედების III რესპუბლიკურ ფესტივალზე ანსამბლმა პირველი ადგილი და ლაურიატობის წოდება მოიპოვა. საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა და რესპუბლიკის კომპარტიის შექმნის 60 წლისთავისადმი მიძღვნილ რესპუბლიკურ ოლიმპიადაზე ანსამბლმა პირველი ხარისხის დიპლომი და ოქროს მედლები დაიმსახურა. გარდა ამისა, 1982 წელს საქ. სსრ კულტურის სამინისტროს შუამდგომლობით, როგორც მაღალპროფესიულ ანსამბლს, ჩვენმა სამინისტრომ სახალხო ანსამბლის წოდება მიანიჭა და გადასცა სათანადო დიპლომი. 1983 წლის სექტემბერში კი ანსამბლი სრულიად საკავშირო კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის მიწვევით იმყოფებოდა გასტროლებზე, გაზგამტარის ტრასის მშენებლობაზე — სერენგოი-პომარი-უჟგოროდის მარშრუტზე.

1984 წელს დიდი სამამულო ომის დამთავრების 40-წლისადმი მიძღვნილ საკავშირო ოლიმპიადაზე პირველი ადგილი და ჯილდოები დაიმსახურა.

ანსამბლი ამჟამად დღითი დღე იმაღლებს საშემსრულებლო ოსტატობას, და ახალ ახალი სიმღერებითა და ცეკვებით ამდიდრებს თავის რეპერტუარს.

**რ. ფერაძე,**
**ქვედანაყოფის მეთაურის მოადგილე პოლიტდარგში, მილიციის მაიორი.**

**სურათზე:** ანსამბლ „ეგრისის" მომღერალთა ჯგუფი.
ავტორის ფოტო.

საზღვარგარეთის ქრონიკა

# „ნელი სიკვდილი" მოაბიჯებს

**შეერთებული** შტატების მასობრივი ინფორმაციის საშუალებები სულ უფრო ხშირად იტყობინებიან ქვეყნის ტერიტორიაზე, ორგანიზებული დამნაშავეობის სინდიკატების (როგორც ამ ბოლო ხანებში მოიხსენიებენ განგსტერულ ორგანიზაციებს) მიერ ნარკოტიკული ნივთიერებების წარმოების გაფართოებისა და არალეგალურად გაშენებული მარიხუანას პლანტაციების რაოდენობის კატასტროფულად სწრაფად ზრდის შესახებ.

ამერიკის კონგრესის საკონტროლო-სარევიზიო კომისიის მონაცემებით კალიფორნიის, ორეგონის, მისურის, არკანზასის და სხვა შტატების ტყეებისა თუ პარკების საგულდაგულო გამოკვლევების შედეგად, აღმოჩენილ იქნა 8000-ზე მეტი პლანტაცია, სადაც მარიხუანა იყო გაშენებული, ეს მონაცემები, 1980 წელთან შედარებით მთელი 128 პროცენტით არის გაზრდილი.

მარიხუანას პლანტაციები ცნობისმოყვარე ტურისტების თვალთაგან საგანგებოდ არის დაცული. ამ მხრივ მათი მეპატრონეები ძალადობისა და დაშინების არავითარ საშუალებას არ ერიდებიან: პლანტაციები შემოსაზღვრულია ბუნებრივ თუ ხელოვნურ ზღუდეებით, ნაღმებით, ხაფანგებით, „მგლის ორმოებით", მათ იცავენ ტექნიკის უკანასკნელი სიტყვით აღჭურვილი თავზეხელაღებული დაქირავებული მცველები, რომელთათვისაც ზედგამოჭრილი სახელი — „ქვიხსახიანი მკვლელები" უწოდებიათ.

„ნიუ-იორკ ტაიმსის" ცნობით ფედერალური ხელისუფლების მიერ აღმოჩენილ და განადგურებულ იქნა მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი უკანონოდ გაშენებული „ნელი სიკვდილის" ნათესებისა. ამერიკის ხელისუფლება უძლურია ებრძოლოს ნარკოტიკების მწარმოებლებსა თუ გამსაღებლებს, რადგან მათ უკან ამერიკის მმართველ ფენებთან და მსხვილ ბიზნესთან ინტეგრირებული დამნაშავეობრივი ორგანიზაციები დგანან, რომელთა წლიური შემოსავალიც, ნარკოტიკული ნივთიერებებით ვაჭრობისაგან 80 მილიარდ დოლარს შეადგენს.

ვაშინგტონის ხელისუფალთა სხვადასხვა პროფილაქტიკურ ღონისძიებებს სასურველი შედეგი არ მოაქვს. არსებითად არც გასულ წელს პრეზიდენტ რეიგანის მიერ ჩამოყალიბებულმა ნარკოტიკებით ვაჭრობაზე კონტროლის ფედერალურ სააგენტოს სპეციალურმა საკოორდინაციო სამსახურმა, რომლის შექმნასაც დიდი ზარზეიმით შეხვდნენ, სასიკეთო ცვლილებები ვერ მოიტანა ორგანიზებული დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლაში.

რეიგანის ადმინისტრაციის მიზანს უფრო მეტად, განგსტერული სინდიკატების ზღაპრული მოგების საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრა წარმოადგენს, რათა კოსმოსური განგსტერიზმის ისტერიით შეპყრობილებმა, უკეთ დაიკმაყოფილონ თავიანთი იმპერიული ამბიციები.

შეერთებულ შტატებში ნარკოტიკული ნივთიერებების ბოროტად გამოყენების შედეგად ყოველწლიურად იღუპება ხუთი ათასზე მეტი ამერიკელი, მათ რიცხვში მრავალი მსახიობისა თუ პოპულარული მუსიკის შემსრულებლის დასახელებაც შეიძლება. ამ მრავალრიცხოვანი მსხვერპლის საფასურად კი, ნარკოტიკებით მოვაჭრენი ათასობით დოლარს იჯიბავენ.

ნარკომანია შეერთებული შტატებისათვის ნამდვილ ეროვნულ უბედურებად, უკურნებელ სენად ქცეულა და რომლიდანაც თავის დაღწევის გზა ჯერჯერობით სრული წყვდიადით არის მოცული.

**ნ. გარდაველიძე,**
**პოლიტიკური მიმომხილველი.**

ПРЕДСТАВЛЯЕМ ВИД

**Под этой рубрикой газета «Боевой страж» планирует публикацию статей, фоторепортажей, рассказывающих о служебно-прикладных видах спорта, проблемах и перспективах их развития. Сегодня наш первый рассказ — о чемпионате МВД Грузинской ССР по стрельбе из боевого оружия.**

# НЕВЗИРАЯ НА ТИТУЛЫ

Поселок Нижние Эшеры близ города Сухуми. Сюда, на стрельбище «Динамо», в начале мая съехались спортсмены-стрелки, представляющие МВД Абхазии, Аджарии, УВД Юго-Осетии, г.г. Тбилиси, Кутаиси, Грузинское УВДТ, Руставский ГОВД.

Спор начали женщины. Пистолет «Макарова», дистанция — 25 метров. Две серии по 10 выстрелов. Не спеша ведут огонь спортсменки, используя каждое мгновение, чтобы сосредоточиться, вложить в очередной выстрел все свое умение и опыт. Здесь сильнее всех —. Терехова (ГУВДТ). Другое упражнение — скоростная стрельба. За восемь секунд спортсменка должна достать пистолет из кобуры, развернуться, поразить три мишени. И так трижды. Снова лучшая — капитан милиции М. Терехова.







Но главная борьба впереди. Ее ведут мужчины. Автоматные очереди сменяют сухие щелчки пистолетных выстрелов.

Автомат «Калашникова», дистанция 100 метров, три серии по 10 выстрелов в положении лежа, с колена, стоя. Здесь, пожалуй, наиболее сильный состав участников — три мастера спорта, победители и призеры всесоюзного чемпионата.

Упорная борьба назвала чемпиона — Ю. Быков из команды Абхазии.

На второй день у автоматчиков — скоростная стрельба из трех положений. Победителем здесь вышел уже другой — тбилисец З. Такашвили.

А в соседнем тире борьбу ведут пистолетчики — мужчины. Дистанция 50 метров.



А накануне в стрельбе из пистолета (30 выстрелов — 25 метров) победил представитель УВД г. Тбилиси А. Ликликадзе.

И вот последний вид. Полоса препятствий. На 100-метровом пути к огневому рубежу — «стенка», «бревно», «яма». А потом — 12 выстрелов с дистанции 50 метров. Победитель здесь В. Халецкий.

Чемпионами МВД Грузии стали сотрудники транспортной милиции. На последующих местах команды МВД Абхазии и Аджарии.

**Немалое число спортсменов к соревнованиям подготовлены плохо, или, вернее сказать, не готовы вовсе. Некоторые команды сформированы наспех, в них включены далекие от стрелкового спорта люди.**

**Руководители подразделений неохотно отпускают сотрудников на сборы, соревнования. Где уж говорить о высоких спортивных результатах, успешных выступлениях во всесоюзных чемпионатах, когда приходится думать о перспективе впасть в немилость начальству.**

**Мы не станем называть имена руководителей, ставящих интересы возглавляемых ими отделов выше интересов министерства, республики. Не станем называть их в надежде, что они сумеют правильно понять нужды спортсменов, нашего спорта. Поймут и станут лучшей опорой в столь важном и нужном деле.**

**С. ГАЛСТЯН,**
**старший лейтенант милиции, (наш спец. корр.).**

**НА СНИМКАХ:** на полосе препятствий; «штаб» стрельбы; победитель в стрельбе из автомата Ю. Быков; команда Грузинского УВДТ — победительница соревнований.

Фото автора.

სარედაქციო კოლეგია
РЕДКОЛЛЕГИЯ

ჩვენი მისამართი: თბილისი 380025, გოგოლის ქ. № 23. ტელ. 95-66-72, 99-1-41-24. Наш адрес: 380025. ул. Гоголя, 23 тел. 95-66-72, 99-1-41-24
საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380096, თბილისი — 96. ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხომარაულის 29. უე 08637